DCFTA - განვითარების ახალი შესაძლებლობები საქართველოს ეკონომიკისთვის და კონკრეტული ეფექტების წარმოჩენა ხილისა და ბოსტნეულის წვენების სექტორის ქეისის განხილვით

ავტორები:

ნინო ჩხაიძე

ნათია მეგრელიშვილი

ბიზნესის სკოლა, ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი), სამაგისტრო საფეხური

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლარისა პატარაია - ილიას ბიზნეს სკოლის ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამის დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

სარჩევი

1.აბსტრაქტი 2

2.შესავალი 4

2.1სატარიფო ბარიერების მიმოხილვა 9

2.2არასატარიფო ბარიერების მიმოხილვა 10

2.2.1მოთხოვნები, რომლის დაკმაყოფილებაც სჭირდება კომპანიას ევროკავშირის ბაზარზე პროდუქტის გასატანად 10

3.კვლევის მეთოდები 15

3.1 Desk research -მეორადი ინფორმაციის კვლევა 15

3.2 ქეისის ანალიზი 16

3.3 შედარებით ანალიზი 16

3.4 საველე კვლევა 16

4. კვლევის შედეგები 17

4.1კვლევითი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების მიმოხილვა 17

4.1.1 საერთაშორისო კვლევითი კომპანია ECORYS 17

4.1.2 ეკონომიკური პოლიტიკის კვლევით ცენტრიის (EPRC) კვლევა 21

4.2 იორდანიის ქეისის განხილვა 22

4.3 სომხეთი და ევრაზიული კავშირი 27

4.4. სახელმწიფოს მხრიდან გატარებული და დაგეგმილი რეფომრები და კომპანიების ინფორმირებაზე ზრუნვა 30

4.5 სტატისტიკური მონაცემების ანალიზი 39

4.6 საველე კვლევა - ხილისა და ბოსტნეულის წვენების მწარმოებელი კომპანიების კვლევა DCFTA- ის პირობების გამოყენებისთვის მზაობის შესახებ 49

5. დასკვნა 57

6. რეკომენდაციები 60

7. დანართი 63

7.1 დანართი #1. 63

7.2 დანართი #2 65

8. გამოყენებული ლიტერატურა 66

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია შეაფასოს რა შესაძლებლობებს ქმნის ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) საქართველოსთვის და რა გავლენას მოახდენს ის ქვეყნის ეკონომიკაზე; გამოავლინოს ადგილობრივი კომპანიების ახალ სავაჭრო სივრცეში ოპერირებისთვის მზაობა ხილისა და ბოსტნეულის წვენების სექტორის მაგალითის განხილვით.

კვლევის მიზნის მისაღწევად ჩატარდა Desk Research - მეორადი ინფორმაციის კვლევა, შედარებითი ანალიზები და საველე კვლევა. ადგილობრივი კომპანიების მიერ ევროკავშირში განხორციელებული ექსპორტის მიმოხილვისთვის და ტენდენციების გამოსავლენად ჩატარდა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი. შეფასდა DCFTA–ის საქართველოს ეკონომიკაზე გავლენის პროგნოზების შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევის შედეგები და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების ეფექტები სხვა ქვეყნების მაგალითზე. განხილულ იქნა სახელმწიფოს მხრიდან DCFTA–ის ფარგლებში გატარებული და დაგეგმილი რეფორმები და ბიზნეს სექტორის მხარდაჭერა. წვენების მწარმოებელი ქართული კომპანიების მზაობის გამოსავლენად ჩატარდა კომპანიების გამოკითხვა სპეციალურად შედგენილი კითხვარით. საქართველოში რეგისტრირებულია ხილისა და ბოსტნეულის წვენების მწარმოებელი 24 კომპანია. საიდანაც გამოიკითხა 18 კომპანია.

სტატისტიკური მონაცემების კვლევის შედეგად გამოვლინდა ევროკავშირის ქვეყნებში წვენების ექსპორტის მოცულობის მზარდი ტენდენცია. ასევე, მთლიან ექსპორტში ევროკავშირის წილის ზრდა. ადგილობრივი კომპანიების მზაობის კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ გამოკითხულ კომპანიათა 67%-ს აქვს დაწყებული მომქედებები DCFTA-ის პირობების გამოყენებით ექსპორტის განხოციელებისთვის 22%, გეგმავს პირველად განახორციელოს ევროკავშირში ექსპორტი; გამოკითხულთა ნახევრზე მეტი ფლობს

იმ სტანდარტებიდან უმეტესობას, რომელიც მოითხოვება ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის შესვლისთვის.

საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების მიხედვით DCFTA-ის ამოქმედების შედეგად საქართველოში მოსალოდენლია ექსპორტის, მშპ-ს და სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლების ზრდა.

განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკაზე ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის გავლენის უკვე არსებული გამოცდილების წარმოსაჩენად განხილულ იქნა იორდანიის ქეისი, სადაც გამოვლინდა დადებითი ტენდენციები.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზის და DCFTA - ის ეფექტების განხილვის შედეგად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შეთანხმება საქართველოს ეკონომიკისთვის მოკლე და გრძელვადიან პერიოდში დადებით ეფექტებს მოახდენს. კომპანიების მზაობის კვლევის შედეგების საფუძველზე კი გამოვლინდა, რომ ხილისა და ბოსტნეულის წვენების სექტორს აქვს პოტენციალი გაზარდოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში და წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში სექტორის გაფართოებით, ახალი სამუშაო ადგილების შექმნით, ხელფასების დონის მატებით. ჩვენს დასკვნას აძლიერებს სხვა ქვეყნების გამოცდილება და საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზები საქართველოზე.